ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

„ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში“

აპლიკანტის სახელმძღვანელო

სარჩევი

1. შესავალი (პროგრამის კომპონენტების აღწერის ჩათვლით); 2

2. ზოგადი აღწერა, მიზნები და ამოცანები; 2

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები 5

3.1 პროგრამის გეოგრაფიული არეალი 5

3.2 პოტენციური ბენეფიციარის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები 5

3.3 აქტივობების/პროექტების დასაშვებობა 7

3.4 ხარჯების მიზნობრიობა 7

a. ბენეფიციარის პასუხისმგებლობა 10

2. ზოგადი პირობები 10

a. შესყიდვების პროცედურები, თაღლითობა და კორუფცია 11

b. აპლიკანტის უფლებები 14

c. კონფიდენციალურობა 14

d. ინტერესთა კონფლიქტი 15

3. აპლიკაციის და ბიზნეს მოდელის გაგზავნა 15

a. თანხმობა პროგრამის პირობებზე 15

b. აპლიკაციის ფორმა და მხარდამჭერი დოკუმენტები 16

c. აპლიკაციის წარდგენის ინსტრუქციები 17

4. აპლიკაციის შეფასება 17

a. ადმინისტრაციული შემოწმება და კრიტერიუმები 17

b. ხარისხობრივი და ტექნიკური შეფასება 18

c. კომიტეტის მიერ შეფასება 19

d. პროექტის შეთანხმება და ხელშეკრულების გაფორმება 20

5. განხორციელება და მონიტორინგი 20

a. პროექტის განხორციელება და ანგარიშგება 20

b. თანხების გაცემა 20

i. ფინანსური და პროგრესის ანგარიშგება 21

ii. მონიტორინგის ვიზიტები 21

iii. დაფინანსების შეწყვეტა 21

1. **შესავალი (პროგრამის კომპონენტების აღწერის ჩათვლით);**

„ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში“ ევროკავშირისა და გაეროს ოთხი სააგენტოს ერთობლივი ინიციატივაა, რომლიც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით ხორციელდება. აღნიშნული პროექტი პროგრამის „ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოში“ 2017წ „წლიურ სამოქმედო პროგრამაში“ მოცემულ ამოცანებს პასუხობს. კონკრეტულად, პროექტი მხარს უჭერს მე-3 კომპონენტს: ბიზნესის უფრო მეტად დახვეწა.

2. **ზოგადი აღწერა, მიზნები და ამოცანები;**

პროექტი ითვალისწინებს სამიზნე მიწოდების ჯაჭვში მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების, კლასტერების შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობას თანადაფინანსების გზით. პროექტის მთავარი მიზანია ქვეყანაში მეწარმეობისა და ბიზნესის დახვეწა, მთავრობისა და ადგილობრივი საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერებით ეკონომიკური კლასტერების განვითარება და ამოქმედება, სტრატეგიული ინვესტიციების მეშვეობით კომპანიებისათვის პირდაპირი მხარდაჭერის გაწევა, აგრეთვე მეწარმეებისა და ბიზნესის აღნიშნული სტრატეგიისა და მიზნების ეფექტურობაში დარწმუნება.

კლასტერული კოორდინაციის, მარკეტინგის, ინოვაციებისა და საჯარო-კერძო დიალოგის გაუმჯობესება და პროექტის ამოცანების მიღწევა დაგეგმილია საწარმოებისათვის სხვადასხვა სახის დახმარების გზით, კერძოდ შეფუთვის სექტორში კლასტერის მართვის ორგანიზაციის შექმნით, და გეოგრაფიულად და შესაძლებლობებით შეზღუდული ღირებულებათა ჯაჭვის გაფართოება-გაძლიერებით, აგრეთვე შეფუთვების მიწოდების ჯაჭვის კომპანიებში სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელებით. პროექტი ითვალისწინებს კერძო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გრანტის სახით თანხების გამოყოფას შეფუთვებთან დაკავშირებული ბიზნეს-საქმიანობების განსავითარებლად. ინვესტიციების გეოგრაფიული მასშტაბი მთელს ქვეყანას მოიცავს, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება იმერეთის და კახეთის რეგიონებს მიექცევა. ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე.

შეფუთვის სექტორი პრიორიტეტულ სექტორად განისაზღვრა თავისი ზომის, ზრდის შესაძლებლობების და საქართველოს ეკონომიკის სხვა დარგებისათვის გამჭოლი მნიშვნელობის გამო, რამდენადაც ის ზეგავლენას ახდენს სხვა სექტორებზე და მეორად გადამუშავებაზე (რეციკლირებაზე). საერთაშორისო ვაჭრობაზე ორიენტაცია უმნიშვნელოვანესია საქართველოს განვითარებისთვის როგორც სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად ასევე სხვადასხვა დარგების ადგილობრივ მოხმარებასთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით გაზრდისთვის. ექსპორტის ზრდისათვის საქართველოს კონკურენტუნარიანი შეფუთვის სექტორი სჭირდება. ამ დროისთვის, საქართველოში შეფუთვების დიდი ნაწილი იმპორტირებულია. ადგილობრივი ბიზნესების მხრიდან მზარდი

მოთხოვნა შეფუთვებზე, იმპორტის ჩანაცვლებით, ადგილობრივი წარმოების განვითარების საშუალებას იძლევა, რაც აგრეთვე სავაჭრო ბალანსსაც გააუმჯობესებს. რადგანაც შესაფუთი მასალები, როგორც წესი, მოცულობითია და შედარებით დაბალი ღირებულების მატარებელია, მისი წარმოების ბაზართან სიახლოვე მნიშვნელოვანია. ადგილობრივი მიწოდება სატრანსპორტო ხარჯებს შეამცირებს, რაც ფასების მხრივ ადგილობრივი ბიზნესების კონკურენტუნარიანობას აამაღლებს, ასევე, საქართველოს პოზიციონირებას გააუმჯობესებს გადასაფუთი პროდუქციის იმპორტის კუთხით, შემდგომი გადაფუთვისა და ექსპორტის მიზნით .

საქართველოში შეფუთვის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ კომპანიებს შორის ადრე განხორციელებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბევრ კომპანიას საკუთარი მანქანა-დანადგარებისა და ბიზნეს/საწარმოო პროცესების მოდერნიზება სჭირდება ხარისხის უზრუნველყოფის, დამატებითი შეკვეთების მიღებისა და თვითღირებულებით კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის; ასევე საერთაშორისო სტანდარტებსა და სერთიფიცირების მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის (ISO, სურსათის უვნებლობა, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება); გარემოსდაცვით საკითხების გათვალისწინებისთვის რომლებიც ეხება წყლისა და ჰაერის დაბინძურებას, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ნარჩენების რეკუპერაციას და მეორად გადამუშავებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის, ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების ჩადებისა და შეფუთვის დარგში ინოვაციური გადაწყვეტების შემუშავების მიზნით.

შეფუთვის სექტორის გაძლიერება მნიშვნელოვანია ქართული ბაზრის განვითარებისათვის ევროკავშირის ორი სტანდარტის მიმართ. პირველი, შეფუთვასთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესება აუცილებელია სურსათის უვნებლობის გაუმჯობესებისთვის. საკვების შეფუთვა განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხია „ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და DCFTA–ისთვის, რომლის მიხედვით საჭიროა ისეთი შეფუთვის გამოყენება, რაც გარკვეულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. ამჟამად იშვიათად თუ შევხვდებით ადგილობრივად წარმოებულ ისეთ შესაფუთ მასალებს, რომელიც ამ სტანდარტს შეესაბამება, ამიტომ ადგილობრივ კვებით მრეწველობას უწევს მათი იმპორტირება. სათანადოდ სერტიფიცირებული ადგილობრივად წარმოებული შეფუთვის არარსებობა ექსპორტის ზრდასაც უქმნის პრობლემას. ადგილობრივ წარმოებას ასევე ხელს შეუწყობს მეორადი გადამუშავების (რეციკლირების) გაუმჯობესება. სერტიფიცირებული ადგილობრივი შეფუთვის ნაკლებობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ სტანდარტების შესაბამისი პროდუქტების წარმოებისთვის შესაბამისი ცოდნა არის საჭირო. შეფუთვების სექტორისთვის ერთ-ერთი ძირითადი მასალა რეციკლირებადი რესურსებია. საწარმოო რესურსების ხარისხის უზრუნველყოფა რთულია, თუ ადგილობრივად გამოყენებული რეციკლირებადი პროდუქტები სათანადოდ დახარისხებული არ არის. გადამუშავების სტანდარტების გაუმჯობესებამ გადამუშავებული პლასტმასისა და ქაღალდის ხარისხი უნდა აამაღლოს, რაც თავის მხრივ შეფუთვის ადგილობრივი მწარმოებლებისთვის უფრო გაამარტივებს საკუთარი პროდუქტის გაუმჯობესებას და უფრო ფართო ბაზარზე გასვლას.

პროექტის მიზანი:

პროექტის მთავარი მიზანია ქვეყანაში მეწარმეობისა და ბიზნესის დახვეწა, მთავრობისა და ადგილობრივი საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერებით ეკონომიკური კლასტერების განვითარება და ამოქმედება, სტრატეგიული ინვესტიციების მეშვეობით კომპანიებისათვის

პირდაპირი მხარდაჭერის გაწევა, აგრეთვე მეწარმეებისა და ბიზნესის აღნიშნული სტრატეგიისა და მიზნების ეფექტურობაში დარწმუნება.

ამ მიზნის მისაღწევად ცხადდება საგრანტო კონკურსი შეფუთვების მიწოდების ჯაჭვის კომპანიებში სტრატეგიული ინვესტიციების უზრუნველსაყოფად. გრანტების გაცემა იწარმოებს გარკვეული თანადაფინანსების მოთხოვნით. გრანტების მიზანია კერძო კომპანიების ბიზნეს საქმიანობის განვითარება და შეფუთვების ღირებულებათა ჯაჭვის ისეთი დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომლებიც ზოგადად შეფუთვების კლასტერის განვითარებას აფერხებენ..

პროგრამის ამოცანებია:

მიზნის განხორციელება "საგრანტო სქემის" ორგანიზებით იგეგმება. გრანტები ხელს შეუწყობს საქართველოში შეფუთვის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ საწარმოებს მოახდინონ გაყიდვების და დასაქმების ზრდა, პროდუქციის ხარისხისა თუ საწარმოო პროცესების გაუმჯობესება, დამატებითი ღირებულების შემქმნელი პროდუქტების თუ მომსახურების შექმნა და განახლება, მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების დაფინანსების გზით, მათი ბიზნეს გეგმისა და განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. საბოლოო ამოცანაა მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და შეფუთვის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება, ამავდროულად კი პრობლემების აღმოფხვრა და შემცირება.

საგრანტო პროგრამა ხელს შეუწყობს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- შესაფუთი მასალების სექტორში სამუშაო ადგილების შენარჩუნება ან ზრდა, გაყიდვების ზრდა და ხარისხის სქემების დანერგვა, ასევე ინოვაციური გადაწყვეტილებების მხარდაჭერა.
- სტრატეგიული ინვესტიციები კომპანიებში, რომლებიც ხელს შეუწყობენ კლასტერის განვითარებას.
- შესაფუთი მასალების სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება.
- ადგილობრივი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.
- ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა, რაც თავისთავად დადებითად აისახება გარემოსა დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაზე.

გრანტები მოცემული საინვესტიციო პროექტის (გრანტის) დასაშვები ხარჯების საერთო ოდენობის 70%-ს დაფარავს, ხოლო 30% გრანტის მიმღების წვლილი იქნება ფულადი სახით. გრანტის მინიმალური ოდენობა 5,000 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში), ხოლო მაქსიმალური - 50,000 აშშ დოლარი იქნება (ექვივალენტი ლარში).

"საგრანტო სქემის" პროექტების მიზნობრივი სფეროებია:

- საწარმოო სიმძლავრეების და პროცესების განახლება და მოდერნიზაცია - მანქანა-დანადგარების შეძენა/განახლება, საწარმოო და ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება და

რეინჟინერინგი, საწარმოო ინოვაციების და ტექნოლოგიების გაუმჯობესება და დანერგვა;

- პროდუქტის ან მომსახურების დამატებული ღირებულების ზრდა - გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქტის ან მომსახურების ინოვაცია, პროდუქტის განახლება ან ახალი პროდუქტის დანერგვა;
- წარმოების/მომსახურების პროცესებში ხარისხობრივი ცვლილებების შეტანა - საერთაშორისო ხარისხის სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირების პროცესის ხელშეწყობა პროდუქციის ხარისხის, პროდუქტის უვნებლობის, უსაფრთხოებისა და ენერგოეფექტურობის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით;
- ნარჩენებისა და მეორადი ნედლეულის გადამუშავება - ნარჩენებისა და მეორადი პროდუქციის გადამუშავების გაუმჯობესება ან დანერგვა, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება და მწარმოებელთა გაფართოებული ვალდებულებების დანერგვის ხელშეწყობა.

შესაფუთი მასალების მიწოდების ჯაჭვის თითოეულ რგოლში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, როგორიც არის შეფუთვების ნედლეულის მწარმოებელი და მიმწოდებელი, შეფუთვების მწარმოებელი თუ მომსახურების მიმწოდებელი, შეფუთვების ინდუსტრიული მომხმარებელი (საკვები/სასმელი პროდუქტებისა და სხვა პროდუქტების წარმოება), შეფუთვების ნედლეულისა და ნარჩენების გადამამუშავებელი, აგრეთვე სხვა ისეთი მხარდამჭერი საქმიანობის გამწევი ბიზნესები (სტამბა, ლოჯისტიკა, მარკეტინგი, დიზაინი, და სხვა) რომელთა ეკონომიური საქმიანობა უკავშირდება ნებისმიერი სახის შესაფუთი მასალის (შეფუთვის ნედლეული, შეფუთვა თუ შეფუთული მზა პროდუქტი) წარმოებას, მიწოდებას, ლოჯისტიკას, გამოყენებას, ამოღებასა თუ შემდგომ მართვას.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1 <u>პროგრამის გეოგრაფიული არეალი</u>

პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი ქვეყნის მასშტაბით არ არის შეზღუდული, თუმცა საწარმოს ეკონომიკური კავშირი უნდა ჰქონდეს **იმერეთისა და/ან კახეთის** რეგიონთან, რაც გულისხმობს იმას, რომ საწარმოები უნდა ახდენდნენ **ნედლეულის შესყიდვას/პროდუქციის წარმოებას/რეალიზაციას** აღნიშნულ რეგიონებში ან რეგიონებიდან.

3.2 <u>პოტენციური ბენეფიციარის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები</u>

- პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეებსა და იურიდიულ პირებს
- ბიზნეს-საქმიანობა ეკონომიკურად უნდა იყოს დაკავშირებული (პროდუქტის/მომსახურების შეძენა, პროდუქტის/მომსახურების გაყიდვა ან წარმოება) იმერეთის ან/და კახეთის რეგიონებთან
- პროექტის განსახორციელებლად შერჩეული უძრავი ქონება აქვს საკუთრებაში ან/და მიღებული აქვს იჯარით/აღნაგობით, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (იჯარის/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი

თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ **3 წელს**);

- უძრავ ქონებას, არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ კომერციული ბანკების იპოთეკა);
- ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიმართ.
- იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარი არის გაეროს განვითარების პროგრამის მიერ განხორციელებული რომელიმე პროექტის/პროგრამის ბენეფიციარი, მას განაცხადის წარდგენის მომენტისთვის არ უნდა ჰქონდეს პროგრამის/პროექტის პირობები დარღვეული.
- ეკონომიკურ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს შეფუთვის მიწოდების ჯაჭვში საქართველოში და მისი ეკონომიკური საქმიანობა უნდა უკავშირდებოდეს ჩამოთვლილთაგან ერთერთს ან რამდენიმეს:

ბენეფიციარი ეწევა ჩამოთვლილი ეკონომიკური საქმიანობიდან ერთერთს ან რამდენიმეს:
ქაღალდისა და ქაღალდის შეაფუთის წარმოება
ტექსტილისა და ქსოვილის შეფუთვების წარმოება
პლასტიკის შეფუთვის წარმოება
მეტალის შეფუთვის წარმოება
მინის შეფუთვების წარმოება
ხის და სხვა ნედლეულის შეფუთვების წარმოება
სტამბა, ბეჭდვითი საქმიანობა და ეტიკეტები
შესაფუთი საქმიანობა
საღებავების, წებოს, მელანის წარმოება
კვების პროდუქტების წარმოება
სასმელების წარმოება
ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება
კოსმეტიკური პროდუქციის წარმოება
ქიმიური პროდუქციის წარმოება
სხვა სახის წარმოება
შესაფუთი მასალებთან დაკავშირებული მომსახურეობის მიწოდება
ნარჩენების მოგროვება, გადამუშავება და რეციკლირება
გადაზიდვები, დიტრიბუცია და ტრანსპორტირება
შენახვა და საწყობი
ბიზნეს და მენეჯმენტ კონსალტინგი
საინჟინრო მომსახურება და ტექნიკური კონსალტინგი
ტექნიკური ტესტირება და ანალიზი, ლაბორატორია
სამეცნიერო კვლევები და განვითარება
სარეკლამო მომსახურება
საგანმანათლებლო საქმიანობა
დიზაინი
მარკეტინგი
შესაფუთი მასალების საცალო მოვაჭრეები
შეფუთული საქონლის საცალო ვაჭრობა (სუპერმარკეტი, მაღაზიები, ონლაინ ვაჭრობა)

ინდუსტრიული საბოლოო მომხმარებლები

წარმოდგენილი პროექტით ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებულია ჩამოთვლილი პროდუქტებიდან (ნედლეული, შესაფუთი მასალის, ცალე თუ მზა პროდუქტის შეფუთვის ფორმით) ერთერთის ან რამდენიმეს წარმოებასთან, მიწოდებასა, ლოჯისტიკასთან, გამოყენებასთან, ამოღებასა თუ შემდგომ მართვასთან:
პლასტმასის ნაწარმი საქონლის შეფუთვისთვის
ხის ნაწარმი საქონლის შეფუთვისთვის
მეტალის ნაწარმი საქონლის შეფუთვისთვის
მინის ნაწარმი საქონლის შეფუთვისთვის
ქაღალდის ნაწარმი საქონლის შეფუთვისთვის
ტექსტილის ნაწარმი საქონლის შეფუთვისთვის
ნებისმიერი სხვა ნაწარმი შეფუთვისათვის

3.3 <u>აქტივობების/პროექტების დასაშვებობა</u>

საგრანტო პროგრამა ითვალისწინებს იმ ბიზნეს-საქმიანობების ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც ემსახურება შეფუთვების წარმოების მიწოდების ჯაჭვის გაძლიერებასა და განვითარებას. კერძოდ მიმართული იქნება ისეთი საინვესტიციო პროექტების მხარდასაჭერად რომლებიც დაეხმარებიან შეფუთვების წარმოების კლასტერში მოღვაწე კომპანიებს კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ადგილობრივ თუ საექსპორტო ბაზრების უკეთ ათვისებაში.

პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება პროექტები, რომლებიც უკავშირდება:

1. სამხედრო, ბირთვულ, სპირტის და სპირტიანი სასმელების, თამბაქოს, და სახიფათო ნივთიერებების წარმოებას;
2. სათამაშო ბიზნესს და აზარტულ თამაშებს;
3. საფინანსო მომსახურებას (მათ შორის სალომბარდო);
4. საქველმოქმედო საქმიანობას;

3.4 <u>ხარჯების მიზნობრიობა</u>

პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ შემდეგი სახის ხარჯების თანადაფინანსებას:
დასაშვები არის ის დანახარჯი, რომელიც გრანტის მიმღების (ბენეფიციარის) მიერ არის გაწეული და რაც პირდაპირ უკავშირდება გრანტს, აუცილებელია მისი შედეგების მისაღწევად და რომელიც შემდეგი მიზნით იქნა გამოყოფილი:

1. ინვესტიციის განხორციელება შემდეგი შენაძენით:
    i. საწარმოო პროცესებთან დაკავშირებული მანქანა-დანადგარები,
    ii. წარმოებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო აქტივები,
    iii. სამშენებლო სამუშაოები და მასალები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციებთან მანქანა-დანადგარებთან (დასაშვები ხარჯების 20%-მდე),

iv. არამატერიალური აქტივების შეძენა, პატენტების და ლიცენზიების სახით, თუ ისინი ერთობლივად აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- გამოყენებული იქნება მხოლოდ გრანტის მიმღები მეწარმის საწარმოში,
- დაექვემდებარება ამორტიზაციას, საბუღალტრო აღრიცხვის დებულებების შესაბამისად,
- მათ შეიძენენ მესამე პირებისგან, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მეწარმესთან საბაზრო პირობებში,
- გრანტის მიმღები მეწარმის აქტივებს წარმოადგენენ და დაკავშირებული დარჩება პროექტთან, რისთვისაც იქნა დახმარება გაწეული, გრანტის დასრულების დღიდან მინიმუმ 3 წლის განმავლობაში;

2. ინვესტიციის ხარჯების დაფარვა, რომლებიც აუცილებელია გარემოს დაცვის უფრო მაღალი დონის მისაღწევად, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3. ინვესტიციის ხარჯების დაფარვა, რაც აუცილებელია ენერგოეფექტურობის უფრო მაღალი დონის მისაღწევად;

4. ინვესტიციის ხარჯების დაფარვა, რაც აუცილებელია მეორადი გადამუშავების გაუმჯობესებულად, ან უფრო ეფექტიანად წარმართვისთვის;

5. ექსპერიმენტული განვითარება, მათ შორის:

   - ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული კვლევის ხარჯები, ასევე, ცოდნა და პატენტები, რომლებიც შეძენილია ან გამოყენებულია გარე სუბიექტებისა და საკონსულტაციო თუ ეკვივალენტური მომსახურების მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, რომლებიც მხოლოდ გრანტის განხორციელების მიზნით გამოიყენება,

6. ინოვაციური მხარდაჭერის სერვისები, როგორიცაა მარკირება, ტესტირება ან სერტიფიცირება;

7. საკონსულტაციო მომსახურება, რაც დაკავშირებულია ახალი, ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, მომსახურების, ტექნოლოგიის ან ახალი დიზაინის შემუშავებასთან ან განხორციელებასთან, რაც მიწოდებულია გარე პროვაიდერების მიერ, რამდენადაც ეს მომსახურება არ არის უწყვეტი ან პერიოდული აქტივობა და არც საწარმოს ჩვეულ საოპერაციო ხარჯთან არ არის დაკავშირებული, როგორიცაა რუტინული საკონსულტაციო სერვისები, რეგულარული იურიდიული მომსახურება, ან რეკლამა;

8. საკონსულტაციო მომსახურება მენტორობის ფორმით 5,000 აშშ დოლარამდე (ექვივალენტი ლარში), რომელიც მიზნად ისახავს მეწარმის ცოდნის, უნარებისა და

კომპეტენციის ამაღლებას, ან მათი განვითარების შესაძლებლობას, თუკი ეს მომსახურება დაკავშირებულია ინვესტიციასთან და არ წარმოადგენს მუდმივ ან პერიოდულ საქმიანობას, არც საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ხარჯებთან არ არის კავშირში, როგორიცაა რუტინული საკონსულტაციო სერვისები, რეგულარული იურიდიული მომსახურება, ან რეკლამა.

საკონსულტაციო სერვისები და ისეთი მომსახურება, როგორიცაა: დიზაინის შექმნა, ფორმების და შტამპების მომზადება, პროცესების/სისტემების/პროდუქტების სერტიფიცირება და პროგრამული უზრუნველყოფა, შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ მკაცრი პირობით, რომ ისინი მჭიდრო კავშირშია საგრანტო წინადადების საინვესტიციო ნაწილთან. ყველა საგრანტო წინადადებამ უნდა აჩვენოს ნეიტრალური ან დადებითი ზეგავლენა გარემოზე და, სასურველია, ენერგოეფექტურობის მიდგომა დაიცვას. მოსალოდნელია, რომ "საგრანტო სქემა" ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შენარჩუნებას ან ზრდას, გაყიდვების ზრდას და ხარისხის სქემების დანერგვას. გარდა ამისა, "საგრანტო სქემა" კლასტერიზაციის პროცესებს მოემსახურება და, ამგვარად, ხელს შეუწყობს ორი ან მეტი კომპანიის ერთობლივ ინიციატივას, რომლებიც თავიანთ ძალისხმევას აერთიანებენ საერთო ბიზნეს მიზნების მისაღწევად.

პროექტის ყველა დანახარჯი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, თუ გრანტის ფარგლებში სამუშაო დაწყებულია თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების დღემდე, ან იმ დღეს.

მიზნობრივ ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ხარჯი გაწეულია შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტის თანახმად;
- გაწეული და გადახდილია პროგრამის განხორციელების პერიოდში;
- მიზნობრივი და აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად;
- შეესაბამება ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობას;

გრანტების დამტკიცებისა და უარის შესახებ გადაწყვეტილება შეფასების კომიტეტის მიერ მიიღება, რომელიც ევროკავშირის და UNDP-ის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ექსპერტიზასა და დამოუკიდებლობას უნდა უზრუნველყოფდეს;

გრანტის მიმღებებს მოეთხოვება რომ ჯერ საკუთარი საგრანტო შენატანი დახარჯოს და ხარჯებისა თუ გადახდების მტკიცებულებები, აგრეთვე, შესაბამისი კონტრაქტები ან/და ინვოისები წარმოადგინოს, რომლებიც "საგრანტო სქემაში" მათ მიერ შეტანილ წვლილთან არის დაკავშირებული;

პროგრამა **არ** ითვალისწინებს შემდეგი ხარჯების დაფინანსებას:

- გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდამდე გაწეული ხარჯები;
- უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შეძენა;
- ფინანსური ტრანზაქციებისა და სხვა წმინდა ფინანსური სახის ხარჯები;
- დანაკარგის და პოტენციური სამომავლო ვალდებულების რეზერვის ხარჯი;
- დაბრუნებადი დღგ;
- სხვა წყაროებით დაფინანსებული ხარჯები;
- გართობისა და წარმომადგენლობითი ხარჯები;

- ნებისმიერი მხარისათვის გადასახდელი პროცენტი ან ვალი;
- კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული დანაკარგი, მოსაკრებელი, ჯარიმა, საურავი და პირგასამტეხლო;
- საწარმოს წილების/აქციების შეძენა;
- სატრანსპორტო საშუალების შეძენა, რომელიც არ უკავშირდება წარმოებას;
- ჯარიმები, საურავები და სასამართლოს მიერ დაკისრებული ხარჯები;
- არასაჭირო ან არაგონივრული დანახარჯი;
- სხვა ყველა ხარჯი, რომელიც შეზღუდულია გრანტის გამცემი ორგანიზაციასა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;

a. <u>ბენეფიციარის პასუხისმგებლობა</u>

ბენეფიციარი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს თანადაფინანსების ფარგლებში მიღებული თანხების ხარჯვის აღრიცხვა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს კანონმდებლობის და პროგრამის პირობების შესაბამისად. უზრუნველყოს გრანტის გამცემი ორგანიზაციის მიერ საველე/დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა;
2. გრანტის გამცემი ორგანიზაციისა და გაეროს განვითარების პროგრამას მონიტორინგის და კონტროლის მიზნით მიაწოდოს უტყუარი, დროული და სრული ინფორმაცია განხორციელებული პროექტის შესახებ (მათ შორის დასაქმებული პირების და საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების შესახებ);
3. მისცეს შესაძლებლობა გრანტის გამცემი ორგანიზაციას ან გაეროს განვითარების პროგრამას მოამზადოს და გამოაქვეყნოს წერილობით ისტორიები, სურათები, ვიდეო მასალა დაფინანსებული პროექტის და ბენეფიციარის გამოცდილების შესახებ;
4. არ შეაფერხოს გრანტის გამცემი ორგანიზაციის და გაეროს განვითარების პროგრამის ან მათ მიერ განსაზღვრულ მესამე პირის მიერ მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები პროექტის დასრულებიდან **3 წლის** განმავლობაში. პროექტი დასრულებულად ჩაითვლება გრანტის გამცემ ორგანიზაციასა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისთანავე;
5. ბენეფიციარმა აღებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გრანტის გამცემი ორგანიზაციის სასარგებლოდ კომიტეტის მიერ განსაზღვრული ძირითადი საშუალებები უნდა დატვირთოს იპოთეკა/გირავნობით.

2. ზოგადი პირობები

გრანტის თანადაფინანსება ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრულია **არანაკლებ 5,000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში)**, და **არაუმეტეს 50,000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში)** ოდენობით, რომელიც არ აღემატება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის დასაშვები ხარჯების **საერთო ოდენობის 70%-ს**.

გრანტის მიღება შესაძლებელია ერთი ბენეფიციარისთვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ერთი ან რამდენიმე განაცხადით (გრანტის მაქსიმალური ოდენობა 50,000 აშშ დოლარი - ექვივალენტი ლარში).

თანადაფინანსების გაცემის წინაპირობას წარმოადგენს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის დამატებითი წყაროს არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობა.

ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ ფულადი სახსრები დასაშვები ხარჯების ჯამური ღირებულების **არანაკლებ 30%-ის ოდენობით**.

a. <u>შესყიდვების პროცედურები, თაღლითობა და კორუფცია</u>

- ბენეფიციართა მიერ შესყიდვების განხორციელების ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს პროექტით განსაზღვრული შესყიდვების ეკონომიურობას, ეფექტურობას, და გამჭვირვალობას, საქონლის და მომსახურების შესყიდვების განხორციელების ვადებსა და ხარისხს. მომწოდებლების/ფირმების/ინდივიდების შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს ფასის, ხარისხის, სანდოობის და შესრულებული სამუშაოს მახასიათებლებს. შესასყიდი საქონლის და მომსახურების საბაზრო ფასი დადგენილი უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნულო ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით.
- პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხების დახარჯვა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, რაც უნდა დასტურდებოდეს საგადახდო დავალებით. წარდგენილი პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებების შესაძენად/შესაქმნელად გაწეული ხარჯი უნდა დასტურდებოდეს გამოწერილი ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით ან/და საბაჟო დეკლარაციით ან/და მიღება-ჩაბარების აქტით (მომსახურების შემთხვევაში) ან/და ფორმა #2-ით (მშენებლობის შემთხვევაში).
- გრანტის გამცემი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად ბენეფიციარებმა პროგრამაში მონაწილეობის დაწყებიდან ვალდებულებების სრულად შესრულებამდე უნდა იხელმძღვანელოს ეთიკის უმაღლესი სტანდარტებით. ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: (1) “კორუფცია” ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე ფასეული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, აღებას ან მოთხოვნას, რაც ზეგავლენას მოახდენს მეორე მხარის ქმედებაზე; (2) “თაღლითობა” ნიშნავს განზრახ ან წინდაუხედაობით ფაქტების გამოტოვებას ან არასწორ ინტერპრეტაციას მხარის მიერ ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღების ან მოვალეობის თავიდან აცილების მცდელობის მიზნით; (3) “საიდუმლო გარიგება” ნიშნავს საიდუმლო გარიგებას ორ ან მეტ მხარეს შორის, გაუთვიცნობიერებლად ან გათვითცნობიერებით, რაც მიმართულია არამართლზომიერი მიზნის მისაღწევად, მესამე მხარის ქმედებაზე საზიანო ზეგავლენის მოხდენის ჩათვლით; (4) “ზეწოლა” ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზიანებას ან დაზიანების მუქარას ადამიანების ან მათი ქონების მისამართით, რათა მოხდეს ზეგავლენა შესყიდვების პროცესში მათ მონაწილეობაზე, ან პროექტის

განხორციელებაზე; (5) "ობსტრუქცია" ნიშნავს: (1) მტკიცებულებების ძალით განადგურება, ფალსიფიკაცია, შეცვლა ან დამალვა გამოძიებისათვის, ან ცრუ ჩვენების მიცემა რათა ხელი შეეშალოს გამოძიებას კორუფციასთან, თაღლითობასთან, შეთქმულებასთან, ძალადობასთან დაკავშირებით; და/ან გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციის მქონე ნებისმიერი მხარის დაშინება ან მუქარა მის მიერ ამ ინფორმაციის გამჟღავნების აცილების მიზნით, ან (2) ქმედებები, რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ინსპექციისა და აუდიტის უფლების განხორციელებას.

- გრანტის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია რეაგირება მოახდინოს კორუფციისა და თაღლითობის ნებისმიერ პოტენციურ გამოვლინებაზე. განცხადების პირობების მიღებამდე, სასურველია რომ განმცხადებელმა ყურადღებით წაიკითხოს პროგრამის პირობები და ნებისმიერი შეკითხვის გაჩენის შემთხვევაში დაუკავშირდეს გრანტის გამცემ ორგანიზაციას.

"საგრანტო სქემა" შემდეგი პრინციპების დაცვით უნდა განხორციელდეს:

- კარგი მმართველობის პრინციპები: "საგრანტო სქემა" ინკლუზიურად (თანაბარი წვდომა), ანგარიშვალდებულად, გამჭვირვალედ, სწრაფი რეაგირებით (პოტენციური ბენეფიციარების საჭიროებებზე მორგებული), კანონის უზენაესობის დაცვით, ეფექტურად და ეფექტიანად უნდა განხორციელდეს. კორუფციის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა იქნება გამოჩენილი. კარგი მმართველობის უზრუნველყოფაზე, ასევე, კორუფციისა თუ არასათანადო მართვის პრევენციაზე მიმართული ქმედებების კოორდინაცია „პასუხისმგებელი მხარის" ვალდებულებში უნდა შედიოდეს. კერძოდ, გრანტის გამცემმა ორგანიზაციამ ომ" უნდა უზრუნველყოს:
    - ღია და თანაბარი წვდომა ინფორმაციაზე „საგრანტო სქემის", კონკურსის, შერჩევის პროცედურების, შერჩეული პროექტებისა და "საგრანტო სქემის" შედეგების შესახებ;
    - პოტენციური და რეალური ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა იმ თანამშრომლების და გარე ექსპერტების მხრიდან, რომლებიც შერჩევისა და მონიტორინგის პროცედურებში მონაწილეობენ და ვისაც შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება, ცოდნა და კომპეტენცია ექნებათ, რომ ასეთი პროცედურები უზრუნველყონ და პროფესიული კონფიდენციალურობა დაიცვან ნებისმიერ დროს;
    - პროექტების ნიმუშების რეგულარული მონიტორინგი, რომლებიც შერჩეულია რისკის შეფასების საფუძველზე, ასევე, შემთხვევითი ნიმუშების ჩათვლით;
    - გრანტის ყველა დოკუმენტაციის ადმინისტრაციული და ფინანსური დამოწმება, „საგრანტო სქემის" რეგულაციებთან, ეროვნულ კანონმდებლობასა და პროექტში დასახულ მიზნებსა თუ ინდიკატორებთან შესაბამისობის გადასამოწმებლად;
    - გასაჩივრების სათანადო შესაძლებლობის მიცემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერ პირს, ვისაც პრეტენზიის გამოხატვა ან დარღვევების შესახებ შეტყობინება სურს "საგრანტო სქემის" განხორციელებასთან დაკავშირებით, ამის გაკეთება მარტივად შეუძლიათ, რათა საჩივრების განხილვა ღიად და კონფიდენციალურად მოხდეს, ასევე იმისთვის, რომ არასათანადო მართვის და კორუფციის შემთხვევები გამოვლინდეს და გამოსწორდეს;

- არასათანადო მართვის და კორუფციის ყველა შემთხვევის განხილვა თანაბარი მიდგომით;
- სპეციალური ღონისძიებების გატარება კორუფციის წინააღმდეგ მიზანმიმართულად და ეფექტურად ბრძოლისთვის;
- სწრაფად და პროფესიონალურად რეაგირება არასათანადო მენეჯმენტისა და კორუფციის ნიშნებზე.

- „საგრანტო სქემა“ მდგრადი განვითარების, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის, სოციალური ინტეგრაციის და გარემოს დაცვის შესაბამისად უნდა განხორციელდეს;
- „საგრანტო სქემა“ შედეგების და რისკების მართვის მიდგომის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, სადაც მონიტორინგისა და შეფასების სათანადო ღონისძიებები არსებობს და ადეკვატურად სრულდება.

განაცხადის წარდგენის უფლება აქვს ყველა საწარმოს, რომელიც ზემოთ, 1-ლ ნაწილში მოცემულ დასაშვებობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს და განმცხადებლები კლასტერის წევრები არიან/გახდებიან, ე.ი.: საწარმოები, რომლებიც დადასტურებულად ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას შეფუთვის ღირებულების ჯაჭვში იმერეთის ან კახეთის რეგიონებში, ან აქვთ ეკონომიკური კავშირი კახეთის ან იმერეთის რეგიონთან (ყიდულობს/ყიდის/აწარმოებს) და ადასტურებენ, რომ „შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ასოციაციის“ (PMAG) შეფუთვის კლასტერის წევრები არიან/გახდებიან თანადაფინანსების მიღებამდე.

განმცხადებლებს გრანტის მიღება შეუძლიათ ერთი ბენეფიციარისთვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ერთი ან რამოდენიმე განაცხადით (გრანტის მაქსიმალური ოდენობა 50 000 აშშ დოლარი - ექვივალენტი ლარში)

განმცხადებელი გამოირიცხება კონკურსში მონაწილეობისგან, თუ მას რომელიმე ქვემოთ მოცემული მდგომარეობა აქვს:

a. გაკოტრებულია, ექვემდებარება გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის პროცედურებს, მის ქონებას მართავს ლიკვიდატორი ან სასამართლო, ჩაბმულია კრედიტორებთან შეთანხმების პროცესში, მისი ბიზნეს საქმიანობა შეჩერებულია, ან შექმნილია ანალოგიური სიტუაცია, რომელიც წარმოშობილია მსგავსი პროცედურიდან, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ან რეგულაციებით;
b. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, ან საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ განმცხადებელმა დაარღვია თავისი ვალდებულებები, რაც დაკავშირებული იყო კანონის შესაბამისად გადასახადების ან სოციალური დაზღვევის შენატანების გადახდასთან;
c. როდესაც ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამ განმცხადებლის დავალიანებებისთვის შეუზღუდავ პასუხისმგებლობას აიღებს, ზემოთ მოცემულ (ა) ან (ბ) პუნქტებში აღნიშნულ ერთ ან რამდენიმე მდგომარეობაში იმყოფება.
d. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, ან საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ განმცხადებელი დამნაშავეა მძიმე პროფესიული გადაცდომის გამო, დაარღვია მოქმედი კანონები ან რეგულაციები ან

იმ პროფესიის ეთიკური სტანდარტები, რომელსაც განმცხადებელი ეკუთვნის, ან ჩადენილი აქვს რაიმე შეუფერებელი ქმედება, რომელიც გავლენას ახდენს მის პროფესიულ სანდოობაზე, როდესაც ასეთი საქციელი შეუფერებელ განზრახვაზე, ან უხეში გაუფრთხილებლობაზე მიუთითებს;

e. სადაც პირი, რომელიც განმცხადებლის ადმინისტრაციული, მმართველობითი ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრია, ან ვისაც აქვს წარმომადგენლობის, გადაწყვეტილების ან კონტროლის უფლებამოსილება ამ განმცხადებლის მიმართ (ეს მოიცავს კომპანიის დირექტორებს, მმართველობითი ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრებს და იმ შემთხვევებს, როდესაც ერთი ადამიანი აქციების უმრავლესობას ფლობს), წინამდებარე (c) პუნქტში აღნიშნულ ერთ ან რამდენიმე მდგომარეობაში იმყოფება;

f. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ განმცხადებელი დამნაშავეა თაღლითობაში ან კორუფციაში, მონაწილეობდა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში, ფულის გათეთრებაში ან ტერორიზმის დაფინანსებაში, ჩართული იყო ტერორისტებთან დაკავშირებულ დანაშაულებში ან სამართალდარღვევებში, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, ბავშვთა შრომაში ან ადამიანით ვაჭრობის სხვა ფორმებში.

g. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ სხვა პროგრამების/პროექტების ფარგლებში განხორციელებული ხელშეკრულებით, საგრანტო შეთანხმებით ან საგრანტო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულების მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა, რამაც ამგვარი შეთანხმებების ვადამდე შეწყვეტა გამოიწვია, ან სალიკვიდაციო ზარალის ან კონტრაქტით გათვალისწინებული სხვა ჯარიმების გამოყენება მოიტანა შედეგად, ან რაც გამოვლინდა შემოწმების, აუდიტის ან გამოძიების შედეგად.

b. <u>აპლიკანტის უფლებები</u>

ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს თანადაფინანსების ტრანშ(ებ)ის მიღება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

c. <u>კონფიდენციალურობა</u>

- თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ერთ-ერთი მხარის (გრანტის გამცემი ორგანიზაცია/გაეროს განვითარების პროგრამა და ბენეფიციარი) მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას (შემდგომში „კონფიდენციალური ინფორმაცია“).
- მხარე ვალდებულია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება: (ა) სახელმწიფო/საჯარო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან ინფორმაცია რომელიც კანონმდებლობის

საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და მხარეთა ხელშეკრულება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

- გრანტის გამცემ ორგანიზაციას და გაეროს განვითარების პროგრამას აქვს უფლება გამოიყენოს ბენეფიციარის შესახებ ინფორმაცია სარეკლამო მასალებში, მარკეტინგული ან სხვა საინფორმაციო მიზნებისთვის, საკუთარი შეხედულებისამებრ, ბენეფიციარის თანხმობის გარეშე, ასევე გამოაქვეყნოს ინფორმაცია გრანტის გამცემი ორგანიზაციის, შეფუთვების წარმოების კლასტერის მმართველი ორგანიზაციის ან/და გაეროს განვითარების კუთვნილ ვებგვერდებზე.

d. <u>ინტერესთა კონფლიქტი</u>

პოტენციური ბენეფიციარი ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას, თუ ბენეფიციარი ან მისი დამფუძნებელი/აქციონერი/მეპაიე ფლობს წილს/აქციას/პაის პროგრამის ფარგლებში მისთვის საქართველოში რეგისტრირებულ საქონლის/მომსახურების მიმწოდებელ/შემსრულებელ კომპანიაში.

3. აპლიკაციის და ბიზნეს მოდელის გაგზავნა

a. <u>თანხმობა პროგრამის პირობებზე</u>

პოტენციური ბენეფიციარი განაცხადის წარდგენისას თანხმობას აცხადებს შემდეგზე:

- ✓ განაცხადში მითითებული ინფორმაცია სწორი და უტყუარია;
- ✓ გაცნობილია საგრანტო პროგრამის პირობებს, შესაბამისობის კრიტერიუმებს და თანადაფინანსების მიღების ეტაპებს;
- ✓ გრანტის გამცემი ორგანიზაცია ან/და გაეროს განვითარების პროგრამა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს წინასწარი გაფრთხილების გარეშე გადაამოწმოს განაცხადში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მესამე პირებთან და/ან სხვა არსებული წყაროების გამოყენებით;
- ✓ ბენეფიციარი გამოხატავს თანხმობას მასზედ, რომ გრანტის გამცემი ორგანიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მხრიდან საკრედიტო ვალდებულებების კეთილსინდისიერად მომსახურების დადგენის მიზნით, შეუზღუდავად, ნებისმიერ დროს მოიძიოს, მიიღოს და/ან დაამუშავოს ბენეფიციარის შესახებ სს "კრედიტინფო საქართველო"-ს ბაზაში არსებული ინფორმაცია.
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა განაცხადში მითითებული ინფორმაციის ან მისი ნაწილის უზუსტობა, იქნება ეს განმცხადებლის მიერ განზრახ/გაუფრთხილებლობით და/ან მესამე პირ(ებ)ის მიზეზით მცდარი ინფორმაციის მითითება, გრანტის გამცემი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას უპირობოდ მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება;

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ განაცხადში მითითებული მცდარი ინფორმაციის მიზეზით გრანტის გამცემ ორგანიზაციას ან/და გაეროს განვითარების ორგანიზაციას მიადგება მატერიალური და/ან არამატერიალური, პირდაპირი და/ან არაპირდაპირი ზიანი, განმცხადებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას აღნიშნულ ზიანთან დაკავშირებით;
- ✓ განაცხადში მითითებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ს არ ადევს ყადაღა;
- ✓ განმცხადებელს არ გააჩნია დავალიანება სსიპ ,,შემოსავლების სამსახურის" მიმართ;
- ✓ გრანტის გამცემი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე განაცხადის შევსებასთან და/ან საგრანტო განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ/არაპირდაპირ ხარჯზე;
- ✓ წინამდებარე განაცხადი არ შეიძლება განმცხადებლის და/ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირის მიერ განხილულ იქნას, როგორც გრანტის გამცემი ორგანიზაციის რაიმე სახის პირდაპირი/არაპირდაპირი დაპირება;
- ✓ გრანტის გამცემი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე განაცხადთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების პირდაპირ/არაპირდაპირ შედეგებზე.
- ✓ გრანტის გამცემი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი პროგრამაში მონაწილეობის მიზნით განაცხადისა და თანმდევი დოკუმენტაციის მომზადებისთვის გაწეულ დანახარჯებზე.

b. <u>აპლიკაციის ფორმა და მხარდამჭერი დოკუმენტები</u>

წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ სრულად შევსებული განაცხადი;
- ✓ პოტენციური ბენეფიციარის/უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
- ✓ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან;
- ✓ ბოლო 12 თვის დღგ-ს დეკლარაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში
- ✓ უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის ან იჯარის/აღნაგობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
- ✓ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" მიერ გაცემული იურიდიული პირის წესდების ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ✓ ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების კრების ოქმი (იურიდიული პირის შემთხვევაში) თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თაობაზე;
- ✓ ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან" საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ;
- ✓ თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან/მიკრო საფინანსო ორგანიზაციიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე;
- ✓ საბანკო რეკვიზიტები;

- ✓ ინვოისი ან/და ხელშეკრულება საქონლის/მომსახურების შესყიდვის შესახებ;
- ✓ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნულო ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ,
- ✓ სხვა დოკუმენტაცია (გრანტის გამცემი ორგანიზაციის/გაეროს განვითარების პროგრამის ან/და კომიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში);
- ✓ სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს გრანტის გამცემი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- ✓ მშენებლობის ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში);

შენიშვნა: განაცხადის თანმდევი დოკუმენტაციის წარმოდგენის რიგითობას განსაზღვრავს გრანტის გამცემი ორგანიზაცია, პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, რის შესახებაც განმცხადებელი იქნება ინფორმირებული.

c. <u>აპლიკაციის წარდგენის ინსტრუქციები</u>

აპლიკანტმა უნდა შეავსოს პირველადი საგრანტო განაცხადის ფორმა დეტალურად და დადგენილ ვადაში გააგზავნოს საგრანტო პროგრამის განცხადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

4. აპლიკაციის შეფასება

a. <u>ადმინისტრაციული შემოწმება და კრიტერიუმები</u>

ინფორმაცია პროექტის შესახებ		შეფასება
1	საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმე ან იურიდიულ პირი	შეესაბამება პროგრამით დადგენილ პირობებს
2	აპლიკანტის ბიზნეს-საქმიანობას აქვს ეკონომიკური კავშირი (ყიდულობს/ყიდის/აწარმოებს) იმერეთისა და/ან კახეთის რეგიონთან	შეესაბამება პროგრამით დადგენილ პირობებს
3	ბიზნესის მიმართულება შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ ეკონომიკურ საქმიანობას	შეესაბამება პროგრამით დადგენილ პირობებს
4	მოკლე სათაური / აღწერა/თანადაფინანსების მიზნობრიობა (მაქსიმუმ 1000 სიმბოლო)	პროექტის განხორციელება მიზანშეწონილია თუ არა
5	მოთხოვნილი თანადაფინანსების ოდენობა	შეესაბამება პროგრამით დადგენილ პირობებს
6	განმცხადებლის თანამონაწილეობის ოდენობა	შეესაბამება პროგრამით დადგენილ პირობებს

პოტენციური ბენეფიციარების მიერ გამოგზავნილი საგრანტო განაცხადები გროვდება შესაბამის ელექტრონული ფოსტის მისაამართზე და დადგენილ ვადაში გადაეცემა გრანტის გამცემ ორგანიზაციას.

განაცხადების განხილვა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ დროს ხელმისაწვდომია განაცხადით მოთხოვნილი თანადაფინანსების შესაბამისი ბიუჯეტი. ადმინისტრაციული შემოწმების და შესაბამისობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ აპლიკანტს მოეთხოვება დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სრული საგრანტო განაცხადის შევსების გზით. აგრეთვე საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

საბოლოოდ სრული პროექტების განაცხადების განხილვა განხორციელდება ქვემოთ აღწერილი პირობების მიხედვით.

b. <u>ხარისხობრივი და ტექნიკური შეფასება</u>

1. **პროექტის ხარისხობრივი და ტექნიკური შეფასება**

	ქულა	წონა	ჯამი
1. ბაზარი / სამიზნე ჯგუფი - ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - არის საკმარისი მოცულობის ბიზნესის მდგრადობისთვის -აქვს მსყიდველობითი უნარი შეიძინოს პროდუქტი / მომსახურება -ავსებს ბაზარზე არსებულ ჩავარდნას - აქვს განვითარების და დივერსიფიკაციის შესაძლებლობა		4	
2. მომხმარებლებისთვის შექმნილი ღირებულება - ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - აქვს/ექნება თვალსაჩინო ეფექტი/სარგებელი (ქმნის ღირებულებას) - აქვს/ექნება კონკურენტული უპირატესობა		4	
3. იმპორტის ჩანაცვლების და/ან ექსპორტის პოტენციალი -შესაძლებელია / შესაბამისია -რეალურია		1	
4. მიწოდების არხები და მომხმარებელთან ურთიერთობა -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -შესაძლებელია / შესაბამისია		1	
5. შემოსავლის ნაკადი და სამომავლო ზრდის პოტენციალი -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -შემდეგი 2 წლის განმავლობაში საშუალოდ იზრდება 20%-ით -რეალურია		2	
6. ძირითადი რესურსები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია		1	

7. ძირითადი აქტივობები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია		1	
8. საკვანძო პარტნიორები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -პროექტი წარმოადგენს სხვა აპლიაკნტთან ერთობლივ ინიციატივას და ქმნის სინერგიულ ეფექტს სხვა განცხადებებთან / პროექტებთან ერთად -რეალურია და შესაძლებელია		1	
9. ხარჯების სტრუქტურა და საინვესტიციო გეგმა -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია		2	
10. საერთო შეფასება			
-ბიზნეს მოდელი გამართული და თანმიმდევრულია		2	
- შემოთავაზებული პროდუქტი / მომსახურება/ტექნოლოგია მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ან ინოვაციურია და გამოყენება შესაძლებელია		1	
- ბიზნესის აშკარა რისკები მართვადია		1	
11. ბიზნეს საქმიანობის აპლიკაცია, სამუშაო ადგილები და სინერგიის ეფექტი			
- სავარაუდოდ, ქმნის მუდმივ სამუშაო ადგილებს მისაღებ ფასად		2	
- სავარაუდოდ, ქმნის ქალთა მუდმივ სამუშაო ადგილებს მისაღებ ფასად		1	
- ენერგოეფექტურობის ზრდა/ბუნებრივი რესურსების დაზოგვა/გარემოზე ზემოქმედების შემცირება		1	

0 = არ პასუხობს მოთხოვნას ან სრულად არათემატურია, 1 = შეუსაბამოა, 2 = შესაძლებელია, 3 = კარგია, 4 = შესანიშნავი.

c. <u>კომიტეტის მიერ შეფასება</u>

პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილ პროექტზე თანადაფინანსების დამტკიცების/უარყოფის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომიტეტი. კომიტეტის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ ნებისმიერი ინფორმაციის დაზუსტება ან მოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია. შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თანადაფინანსების შესახებ წინაპირობებით, რომელიც დამატებით ეცნობება ბენეფიციარს. კომიტეტის მიერ პროექტის შეფასებისთვის დამატებით გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

<u>პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტის კრიტერიუმები:</u>

- ✓ დადებითი ზეგავლენა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაზე;
- ✓ დასაქმებულთა საპროგნოზო რაოდენობა;
- ✓ დასაქმებულთა საპროგნოზო შემოსავლები;
- ✓ განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის მოცულობა;
- ✓ ადგილობრივი ნედლეულის წილი თვითღირებულებაში (წარმოების შემთხვევაში);

- ✓ ადგილობრივი ნედლეულის წილი ჯამურად გადამუშავებულ ნედლეულში (წარმოების შემთხვევაში);
- ✓ დასაქმებულთა შორის ადგილობრივ მოსახლეობაზე გადახდილი ხელფასების წილი (მომსახურების/სერვისის შემთხვევაში);
- ✓ შეთავაზებული მომსახურების/პროდუქციის მოცულობა და ღირებულება;
- ✓ ღირებულებათა ჯაჭვში განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობა.
- ✓ განსახორციელებელი პროექტის გავლენის არეალი (ქალაქი, რეგიონი, მუნიციპალიტეტი, დასახლება) მნიშვნელოვანი გავლენა ერთ ან მეტ სამიზნე მუნიციპალიტეტზე;

d. <u>პროექტის შეთანხმება და ხელშეკრულების გაფორმება</u>

თანადაფინანსების კომიტეტის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ, გრანტის გამცემი ორგანიზაცია წერილობით აცნობებს განმცხადებელს გადაწყვეტილების და თანადაფინანსების ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალის და წარმოდგენის ვადების შესახებ. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროექტის პირობებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემთხვევაში, გრანტის გამცემი ორგანიზაციის თანამშრომელი ბენეფიციართან შეთანხმებით ამზადებს სტრუქტურირების დოკუმენტს, სადაც დეტალურად არის გაწერილი გრანტის გამცემი ორგანიზაციის თანადაფინანსების ყოველი ტრანშის გახარჯვის მიზნობრიობა და თითოეული ტრანშის გაცემის წინაპირობები.

სტრუქტრირების დოკუმენტის მომზადების შემდეგ ბენეფიციართან გაფორმდება თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულება

5. განხორციელება და მონიტორინგი

a. <u>პროექტის განხორციელება და ანგარიშგება</u>

პროექტის განხორციელების დოკუმენტურ მონიტორინგს განახორციელებს გრანტის გამცემი ორგანიზაცია ბენეფიციარის თანადაფინანსების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამასთან, ბენეფიციარი მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნულო ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა. ანგარიშის მიზანია გრანტის გამცემი ორგანიზაციას საშუალება მისცეს მონიტორინგი გაუწიოს პროექტის განხორციელებას საპროექტო წინადადებასთან და პროგრამის კომპონენტებთან შესაბამისობას.

b. <u>თანხების გაცემა</u>

თანადაფინანსების გაცემა განხორციელდება გრანტის გამცემ ორგანიზაციასა და ბენეფიციარს შორის შეთანხმებული სტრუქტურირების დოკუმენტის შესაბამისად, სადაც დეტალურად არის გაწერილი გრანტის თანადაფინანსების ყოველი ტრანშის გახარჯვის მიზნობრიობა და თითოეული ტრანშის გაცემის წინაპირობები. გრანტის თანხა შესაძლოა გაიცეს ერთ ან რამდენიმე ტრანშად.

i. <u>ფინანსური და პროგრესის ანგარიშგება</u>

პროექტის დასრულებიდან **3 წლის განმავლობაში** ბენეფიციარი ვალდებულია ყოველწლიურად წარმოადგინოს აუდიტორული დასკვნა ფინანსური მდგომარეობის (რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებს) პროფილის შენარჩუნების, დასაქმებულთა რაოდენობის, გადახდილი ხელფასების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული პროდუქციის მოცულობა და შესყიდული ნედლეულის (ღირებულება და მოცულობა) შესახებ.

ii. <u>მონიტორინგის ვიზიტები</u>

გრანტის გამცემი ორგანიზაცია და გაეროს განვითარების პროგრამა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, პროექტის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობის და პროექტის პროგრესის შეფასების მიზნით განახორციელოს ვიზიტი პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით.

iii. <u>დაფინანსების შეწყვეტა</u>

გრანტის გამცემი ორგანიზაცია უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს დაფინანსება, იმ შემთხვევაში თუ მოხდება პროგრამის ან/და ხელშეკრულების შესაბამისი პირობის დარღვევა.

თუ დაინტერესდით: <u>პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისი განაცხადის ფორმები და მომზადების ინსტრუქციები მოცემულია ელექტრონული სახით ვებგვერდზე pmag.ge</u>

დანართი 1: შესაფუთი მასალების მიწოდების ჯაჭვი